

აგრობიზნესის საჭიროებები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი



1. შესავალი

კვლევა განხორციელდა 2014 წლის სექტემბერში საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას მიერ, საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ორგანიზაციასთან - „People in Need“ თანამშრომლობით. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს იმერეთის რეგიონში მუნიციპალიტეტების მიხედვით აგრობიზნესის საჭიროებების კვლევის ნაწილს. ადგილობრივი აგრობიზნესის საჭიროებების შესწავლის შედეგები დაეხმარება ადგილობრივ, რეგიონული და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებს იმერეთისა და რაჭის რეგიონებში ერთობლივი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების დაგეგმვაში.

კვლევა განხორციელდა პროექტის - „კოოპერატივების მხარდაჭერა იმერეთის რეგიონში, საქართველოში“ ფარგლებში, ENPARD Georgia-ს და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

2. მეთოდოლოგია

აგრობიზნესების საჭიროებების შესწავლა მოხდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში აგრობიზნესის წარმომადგენლების (ინდივიდუალური რესპონდენტი ან ფოკუს ჯგუფის მონაწილე) - შერჩევით, რომლებმაც მოახდინეს საკუთარები მოსაზრებების გაზიარება ადგილობრივი სასოფლო-ამეურნეო ბიზნესის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესახებ. კვლევის მიზნებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- სამაგიდო კვლევა;
- ფოკუს-ჯგუფის განხილვები;
- ჩაღრმავებული ინტერვიუები;
- პრიორიტეტების სქემები;

ინტერვიუებმა და ფასილიტატორებმა რესპონდენტებს ხელი შეუწყო მოსაზრებების ანალიზსა და კატეგორიზაციაში. მას შემდეგ რაც შემუშავდა SWOT ანალიზი, რესპონდენტებმა მოახდინეს გადაჭრის გზების პრიორიტეტიზაცია პრიორიტეტების სქემის მეთოდის გამოყენებით. ინფორმაციის შეგროვების მიზნით, საეა-მ შეიმუშავა ფოკუს

ჯგუფების და ჩაღრმავებული ინტერვიუების სახელმძღვანელო (იხ. დანართი), რომელშიც ასახულია ღია კითხვები და საკვლევი საკითხები მიხედვით.

ფოკუს-ჯგუფები და ინდივიდუალური ინტერვიუები ჩატარდა საეა-ს ექსპერტების მიერ. ექსპერტებს ტექნიკურ საკითხებში დაეხმარებოდა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის სტუდენტები ინტერვიუების და დისკუსიების ფასილიტაციაში და ტრანსკრიპტების მომზადებაში. სტუდენტებისთვის ჩატარდა სპეციალური ტრენინგი და მათ მიიღეს შესაბამისი ტექნიკური დავალებები. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდა დედუქციური მიდგომის გამოყენებით საეა-ს ექსპერტების მიერ. ანალიზი ეფუძნება მონაცემების დაჯგუფებას და მსგავსებების გამოვლენას/საერთო ტენდენციების და განსხვავებების იდენტიფიცირებას.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის კუთხით ძირითადად მეცხოველეობა (მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფუტკრეობა), მცირედით მიწათმოქმედება (მეხილეობა, მებოსტნეობა) და მევენახეობა არის განვითარებული. მოცემული ცხრილი ასახავს მონაცემების მოპოვების მეთოდებს რესპონდენტების კატეგორიების მიხედვით.

რესპონდენტები	ფოკუს-ჯგუფები	ჩაღრმავებული ინტერვიუები	პრიორიტეტების სქემა
მცირე ზომის ფერმერები (<1 ჰა-მდე);	2 ფოკუს-ჯგუფი		გამოყენებულია
საშუალო ზომის ფერმერები (1-დან 3 ჰა-მდე);	1 ფოკუს-ჯგუფი		გამოყენებულია
სოფლისმეურნეობის ძირითადი მიმწოდებლები (თესლების, შხამ-ქიმიკატების და პესტიციდების და ა.შ.) და მსხივი ფერმერები (>3 ჰა-ზე მეტი);		5 ინტერვიუ	

სამწუხაროდ ოფიციალური მონაცემები სოფლის-მეურნეობის სექტორზე მუნიციპალურ წრეში არ არსებობს. შესაბამისად მუნიციპალიტეტის პროფილის შედგენისას და სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით ძირითადად გამოყენებულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 18-20 სექტემბერს ჩატარდა ფოკუს ჯგუფის შეხვედრები: 2 შეხვედრა მცირე ფერმერებთან (<1 ჰა მიწის ფართობის მფლობელები და მეცხოველეობაში ჩართული ფერმერები) და 1 შეხვედრა საშუალო ფერმერებთან (1-დან 3 ჰა-მდე მიწის ფართობის მფლობელები და მეცხოველეობაში ჩართული ფერმერები). თითოეულ ფოკუს ჯგუფის შეხვედრას საშუალოდ 8-10 ფერმერი ესწრებოდა. ასევე ჩატარდა 5 ჩაღრმავებული ინტერვიუ საშუალო ფერმერებთან: 1 მესაქონლეობით, 1 მევენახეობით და 1 მეფუტკრეობით დაკავებული ფერმერი. 1 ინტერვიუ ჩატარდა ასევე ადგილობრივი აგრო მაღაზიის მფლობელთან და 1 ინტერვიუ ღვინის ქარხნის მფლობელთან. ფოკუს ჯგუფებზე და ინდივიდუალურ ინტერვიუებზე გამოყენებული იქნა სპეცილური კითხვარი, რომელიც მოცემულია დანართის სახით.

3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პროფილი

ზოგადი აღწერა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცენტრალურ ნაწილში. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ონის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-დასავლეთიდან ლენტეხის და ცაგერის მუნიციპალიტეტები, სამხრეთ დასავლეთიდან - წყალტუბოს



მუნიციპალიტეტი (იმერეთის რეგიონი) სამხრეთიდან - ტყიბულის მუნიციპალიტეტი (იმერეთის რეგიონი) ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან - ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტები (იმერეთის რეგიონი). 2014 წლის მეორე ნახევრიდან, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ორად გაიყო: "თვითმმართველი ქალაქი - ამბროლაური" და "ამბროლაურის მუნიციპალიტეტი". ჩვენი კვლევის მიზნებისთვის საკვლევ გეორგრაფიულ არეალად ამბროლაურის მუნიციპალიტეტი შეირჩა. მანძილი ქალაქ თბილისსა და თვითმმართველ ქ. ამბროლაურს შორის 280 კმ-ია. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1,142 კმ²-ია, აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 27 907 ჰა, რაც მთლიანი ტერიტორიის 24 %-ია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 40%-მდე (დაახლოებით 40500 ჰა) ტყითაა დაფარული. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ზღვის დონიდან საშუალოდ 500მ. სიმაღლეზე. ჰავა ნოტიო, საშუალო ტენიანობა - 76%, ზამთარი ცივია ზაფხული კი თბილი და ხანგძლივია. საშუალო წლიური ტემპერატურაა 8-9 გრადუსი. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყის რესურსებით. მისი ტერიტორიის 40 % ტყითაა დაფარული, რომლის საერთო ფართობი 40 500 ჰა-ია, ადმინისტრაციულ ერთეულში არის კატეგორიების მიხედვით, სამრეწველო დანიშნულების ტყეს უკავია 22 000 ჰა, ჭალისპირა ტყეები კი-18 500 ჰა.

დემოგრაფია

2014 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 13,600 ადამიანს შეადგენს¹. აქედან ქალაქში 2800 კაცი ცხოვრობს, მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 20 %, სოფლად კი 11 300 (80%) კაცია დასახლებული. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 16 კაცი/კმ²-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67კაცი/კმ²) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. მუნიციპალიტეტში 70 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი და 69 სოფელი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მრეწველობა და სოციალური დახმარება.

ეკონომიკა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, მათ შორის მევენახეობა-მეღვინეობა და მეცხოველეობა. მეხილეობა ვითარდება ძირითადად

¹ საქსტატი, 2014

მთიან ზონაში. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში წარმოება სუსტადაა განვითარებული. ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს: ღვინის ქარხნები; პურ-ფუნთუშეულის საწარმოები; ხილის გადამამუშავებელი მცირე საწარმოები; ყველ-კარაქის და აგურის ქარხნები; ასფალტ-ბეტონის და მინისაკონსერვო საწარმო. ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადრე ფუნქციონირებდა დარიშხანის საწარმო, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შრომითი რესურსი 9474 კაცს შეადგენს, რაც მოსახლეობის 67 %-ია. აქედან დაუსაქმებელთა რაოდენობა დაახლოებით 8147 კაცი, ანუ სამუშაო ძალის 86%. დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში გამოიყოფა თვითდასაქმებულები (შინა მეურნეობაში დასაქმებული) 3363 კაცი (35.5%).

სოფლის მეურნეობა

მიწათმოქმედება - სოფლის მეურნეობა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის დასაქმების ძირითადი სფეროა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 27 907 ჰა უკავია, რაც მთლიანი ტერიტორიის 24%-ია, მათ შორის სახნავ-სათესის ფართობი შეადგენს 2 060 ჰა-ს, ხეხილის ბაღები გაშენებულია 1 739 ჰა-ზე, სათიბ-სადოვარებს კი 24 108 ჰა უკავია². მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის სახნავ-სათესი ტერიტორია მცირეა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხოლოდ 7%-ს შეადგენს, მემცენარეობა მუნიციპალიტეტში ფართოდაა გავრცელებული.



სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან ადმინისტრაციულ ერთეულში პრიორიტეტულია: ვაზი, სიმინდი, ლობიო და ხორბალი. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში უნიკალური ვაზის ჯიშებია, რომლის მოსავლიანობა 3 ტ/ჰა-ზეა, სიმინდის მოსავლიანობაა 4 ტ/ჰა, ხორბლის მოსავლიანობა შეადგენს 6 ტ/ჰა-ს. ბოლო პერიოდში (10 წელი) მუდმივად მცირდება ყველა კულტურის მოსავლიანობა. მოსავლიანობის შემცირების მიზეზებია: მეურნეობის არაეფექტური გაძღოლა, მავნებლებთან, დაავადებებთან და სარეველებთან ბრძოლის არაეფექტური გზები, კულტურების ადგილმონაცვლეობის უგულვებელყოფა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სახნავი მიწების დაახლოებით 30-40 % საჭიროებს რწყვას და მუნიციპალიტეტი განიცდის სარწყავი წყლის დეფიციტს. მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დრენაჟს არ საჭიროებს³. მუნიციპალიტეტში ისტორიულად არსებობდა ქარსაცავი ზოლები, მათი ფართობი 3 ჰა-ია, თუმცა მათი ბოლო ინვენტარიზაცია ბოლო 20 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა.

² წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2014

³ წყარო: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მეცხოველეობა - მუნიციპალიტეტის სათიბ-სამოვრებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით 86 % (24 108 ჰა) უკავია და მეცხოველეობა მუნიციპალიტეტში ფართოდაა გავრცელებული. 2012 წლის მდგომარეობით⁴, ადმინისტრაციულ ერთეულში სულ 9 913 სული მსხვილფეხა პირუტყვია. ბოლო ათწლეულში მათი რაოდენობა 4 000-სულით შემცირდა. ტერიტორიულ ერთეულში 900 სული მეხორცეული ჯიშის ცხვარია, თუმცა მეცხვარეობა არ არის მუნიციპალიტეტისთვის ტრადიციული. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში პირუტყვი ზამთარ/ზაფხულის სამოვრებზე სხვა მუნიციპალიტეტებიდან ძირითადად არ შემოყავთ.



მესაქონლეები სათიბ-სამოვრების დეფიციტს არ განიცდიან, ზაფხულის სამოვრები საკმარისია 22 000 სული პირუტყვისთვის⁵. ადგილობრივი მოსახლეობის მსხვილფეხა პირუტყვზე გადაანგარიშებით ერთ სულ მსხვილფეხა პირუტყვზე 2,4 ჰა სათიბ-სამოვარი მოდის. მესაქონლეებს პრობლემები ექმნებათ სოფლებში ვეტერინარების არარსებობის გამო, მომსახურების მიღება შესაძლებელია ძირითადად ქალაქ ამბროლაურში, რაც სოფლის მოსახლეობისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია. 2012 წლიდან მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური, რომელიც ახდენს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგსა და აღრიცხვას.

ბუნებრივი საფრთხეები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტისათვის ბუნებრივი საფრთხეებიდან სახასიათოა: ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა/წყალმოვარდნა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, ქვაზვავი, მდინარეთა ნაპირების ეროზია, გვალვა და მიწისძვრა⁶. ბოლო ათწლეულში ბუნებრივი კატასტროფებმა საფრთხე შეუქმნა როგორც საცხოვრებელ, ისე სახნავ-სათეს ტერიტორიებს. ბუნებრივი კატასტროფების პრევენციისთვის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხორციელდება ღონისძიებები. კერძოდ, მათ მიერ ერთობლივად განხორციელებულ იქნა შემდეგი პროექტები: მდინარეების ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოეწყო გაბიონები, სანიაღვრე არხები და სადრენაჟე სისტემები. მოსალოდნელი ბუნებრივი კატასტროფების გათვალისწინება მიწათსარგებლობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების სივრცითი დაგეგმარებისას ხდება.



4. სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის საჭიროებები

⁴ წყარო: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

⁵ წყარო: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

⁶ წყარო: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის საჭიროებები წარმოდგენილია SWOT ანალიზის სახით (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) რომელიც მოიცავს ფოკუს ჯგუფის შეხვედრების და ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგებს.

ძლიერი მხარეები

ფოკუს ჯგუფების მონაწილე მცირე და საშუალო ფერმერების აზრით ადგილობრივი სოფლის მეურნეობის სექტორის ერთ-ერთ ძიერ მხარეს **ადგილობრივი კლიმატური პირობები** წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს მეხილეობის, მევენახეობის, მეფუტკრეობის და მეცხოველეობის განვითარებას. ასევე, ძლიერ მხარედ ვაზის ადგილობრივი ენდემური ჯიშების არსებობა სახელდება.

ამასთან ადგილობრივ დონეზე ერთ-ერთ **მნიშვნელოვან ძლიერ სექტორად მცირე და საშუალო ფერმერების მიერ მევენახეობა, მეფუტკრეობა და მეცხოველეობა** სახელდება. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით უნდა მოხდეს ამ სექტორის განვითარების ხელშეწყობა. მეფუტკრეობა მცირე და საშუალო ფერმერების აზრით საკმაოდ შემოსავლიანი საქმიანობაა. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით: "ჩვენ წლები დაგვჭირდა რათა მოგვეძიებინა პარტნიორები თავლის გასაყიდად. საქართველოს მასშტაბით ძლიერი ტენდერები გვაქვს მოგებული, კერძოდ: თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქამეთა სამინისტროს და მათ ვამარაგებთ თავლით (22 ტონა, 20 ტონა). ფასი არის დაბალი, მაგრამ არის გარანტირებული ბაზარი". ასევე ფოკუს ჯგუფის მონაწილე ფერმერის აზრით: **"ერთი კილოგრამი თავლის წარმოება 4 ლარზე მეტი არ ჯდება, აქაური გლეხი მას ყიდის 15 ლარად, აქვს 300 %-იანი მოგება**. მანახეთ ერთი ბიზნესი, რომელსაც აქვს 300 %-იანი მოგება. ჩვენ მეფუტკრეობა ვასწავლით ასევე ონის, ამბროლაურის, ცაგერის და ლენტეხის რაიონებში".

ასევე პრიორიტეტულ სექტორად სახელდება **მესაქონლეობა**, რასაც ხელს უწყობს საძოვრების მნიშვნელოვანი ფართობების არსებობა. ფოკუს ჯგუფის მონაწილე ერთ-ერთი ფერმერის აზრით: **"ამბროლაურში ყველა პირობა გვაქს, რომ მესაქონლეობა, მეცხვარეობა და მეფუტკრეობა უფრო მეტად განვავითაროთ"**. ადგილობრივი მცირე და საშუალო ფერმერები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარედ ასახელებენ **სახლემწიფო პროგრამების არსებობას**, რომლებიც მიმართულია სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს მაგალითად აგროვაუჩერების დარიგება მოყვავთ და აღნიშნავენ, რომ ეს პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის. ერთ-ერთი ფერმერის აზრით: **"სასაქონლო ვაუჩრების დარიგების და გამოყენების შედეგად ბევრმა მცირე ფერმერმა შეძლო უფრო მეტი მოსავალი მოეყვანა ვიდრე ეს აქამდე შეეძლო. შესაბამისად იზრდება მათი შემოსავლები"**.

სუსტი მხარეები

ერთ-ერთ სუსტ მხარედ საშუალო ფერმერების მიერ **სამუშაო ძალის ნაკლებობა** სახელდება, რომელიც ხელს უშლის მათ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში. ფერმერების აზრით რაჭაში და კერძოდ ამბროლაურში არის კვალიფიციური მუშახელის დიდი ნაკლებობა, რაც აფერხებს წარმოების გაზრდას. ჩაღრმავებული ინტერვიუს ერთ-ერთი რესპოდენტის აზრით: **"ახალი თაობა არ მოდის მომუშავე. აქ თავისი ვენახი რო გააკეთოს და**

კიდევ ვინმესთან იმუშავოს თვეში 500–600 ლარი გამოუვა, უკეთესი რა უნდა გააკეთოს, მიდის თბილისში და იქ ზის უმუშევარი. ჩინელების ჩამოყვანას ვფიქრობ, მივცემ ჩემ გვარს და იქნებთან, მუშა ხალხი ეგენი არიან. მე 25–30 ლარს ვაძლევ დღეში ხალხს ჩემს ვენახებში სამუშაოდ მაგრამ მუდმივად მიჭირს მუშახელის პოვნა, ეზარებათ მუშაობა.” ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპოდენტი ღვინის ქარხნის ფლობელის აზრით **”ხელშემშლელ პირობად შეიძლება ჩავთვალოთ რომ მიგრირებული რეგიონია, აქედან გამომდინარე მუშახელის ძალიან დიდი დეფიციტია”**. ამასთან, სუსტ მხარეებში ფერმერები სხვადასხვა შეღავათიანი სესხების და გრანტების მოსაპოვებლად რთულ პროცედურებს ასახელებენ. მათი თქმით ფერმერებს არ ყოფნით კვალიფიკაცია და არ აქვთ საკმარისი რესურსი რათა სრულყოფილად მოამზადონ ბიზნესპროექტები და დააკმაყოფილონ კონკურსის პირობები.

მნიშვნელოვან სუსტ მხარედ ფოკუს ჯგუფის მონაწილეები **საირიგაციო სისტემის გაუმართავობას** ასახელებენ. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით: **”პირობებს. ჩვენ ეხლა ვეღარ ვრწყავთ ადგილებს, რადგან არ გაგვაჩნია ისეთი ადგილები რომ მოვრწყათ ხელოვნურად, ამიტომ ბუნებაზე ვართ დამოკიდებული და ძალიან ძნელია აქ მუშაობა”**.

ადგილობრივი სოფლის მეორეობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერებელ ფაქტორად ფერმერები **ნიადაგის კვლევის და შესაბამისი მინერალიზაციის ღონისძიებების არ არსებობას** ასახელებენ. ფოკუს ჯგუფის მონაწილე ერთ-ერთი ფერმერის აზრით: **”მიწებს სასწრაფოდ ესაჭიროება ლაბორატორიური შემოწმება, რაც ძალიან დიდი ხანია არ გაკეთებულა. ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება რომ შევამოწმოთ თუ რა ესაჭიროება ნიადაგას”**.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე მცირე ფერმერების აზრით მნიშვნელოვანია **არსებობდეს სასუქებით და შხამ-ქიმიკატებით მოვაჭრეების მეტი კონტროლი**, რათა მათ უზრუნველყონ ხარისხიანი პროდუქციის გასაღება ფერმერებზე. რესპოდენტების აზრით ფერმერებისათვის რთულია ხარისხიანი შხამ-ქიმიკატების გარჩევა შედარებით დაბალი ხარისხისგან. ფოკუს ჯგუფის მონაწილე ერთ-ერთი ფერმერის აზრით: **”ხშირია შემთხვევები, როდესაც ჩვენ ვყიდულობთ დაბალხარისხიან შხამქიმიკატებს და შემდეგ ბევრად უარესს პროდუქციას ვიღებთ, ვიდრე რომ არ გამოგვეყენებინა ქიმიკატები საერთოდ”**. კონტროლთან ერთად, **ფერმერების აზრით მნიშვნელოვანია მათ ზუსტად იცოდნენ როდის და რა შხამ-ქიმიკატების გამოყენებაა საჭირო** და ამ მიმართულებით მათ დამატებითი სწავლება სჭირდებათ. **”შხამ-ქიმიკატები შეიძლება კარგია, მაგრამ როდის და რა დოზით უნდა უწამლო, ამას ყველაფერს ცონდა სჭირდება. დაიწყებს შაბიზნით წამლობას და ბოლომდე ამით წამლავს, არადა ამას ყველაფერს ცონდა სჭირდება რათა მოსავალი კარგი მოვიდეს და ვენახიც არ გაფუჭდეს”** - აცხადებს ფოკუს ჯგუფი ერთ-ერთი მონაწილე. ამასთან, **საშუალო ფერმერებისთვის ხარისხიანი შხამ-ქიმიკატების შეძენა და გამოყენება ნაკლებად პრობლემატურია**. ერთ-ერთი საშუალო ფერმერის განცხადებით: **მე ვიყენებ და ბევრი ვისაც ცოტა მეტი ფული აქვს „ბასვის“ პრეპარატებს, რომელიც მსოფლიოში ერთერთი ძლიერი ბრენდია. ასევე „ბაიერის“ პროდუქციას , რომელსაც ძალიან მაღალი ხარისხი აქვს.”**

ასევე რესპოდენტი აგრომაღაზიის მფლობელის აზრით: **”2 წელია ვმუშაობთ წარმატებით, არ ელოდნენ ასეთ შედეგს ჩვენი უფროსები. სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს გლეხების გაუნათლებლობა სამკურნალო პრეპარატების გამოყენებაში, ჩვენ ყველას ვურიგებთ ჩვენს**

ბუკლეტებს რო წაიკითხოთ და განათლდენ. მათი გაუნათლებლობის შედეგებ მერე ჩვენ გვაბრალევენ.”



ფოკუს ჯგუფის მონაწილე ფერმერები

დამატებით, სუსტ მხარედ სახლდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმწორე და მათი ტექნიკური შესაძლებლობები. ამ მიმართულებით მცირე და საშუალო ფერმერების აქტიურად სარგებლობენ სახელმწიფო უფასო ხვანა-თესვის პროგრამით, ამასთან მათი აზრით ტექნიკა არის მოძველებული და ზოგიერთი სოფლისთვის ტექნიკა საერთოდ ხელმიუწვდომელია. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე ფერმერის განცხადებით: ”ამბროლაურის მუნიციპალიტეტს

ტექნიკა არ არის საკმარისი და ჩვენ უფრო მეტად მცირე ზომის ტექნიკა გვესაჭიროება, რათა უკეთ მოერგოს ჩვენს რელიეფს”. ამასთან ფერმერების აზრით ტექნიკის რაოდენობა უნდა იყოს შესაბამისი და მათი ხელმისაწვდომობა უნდა იყოს აგროვადების შესაბამისად. ”თითქოს ფუცნქციონირებს მექანიზაცია აქ, მაგრამ ყოველთვის პრობლემაა, სულ არის ჩხუბი ამის გამო. ყოველთვის გვიან გვიხდება დახვანა, აგრეთვე აქ თუ შესაძლებელი იქნება აუცილებელია მცირე გაბარიტიანი ტრაქტორები. რელიეფია ისეთი, რომ აქ შეუძლებელია ისეთი ტრაქტორებით მოხვანა, ამიტომ საჭიროა მცირე გაბარიტიანი ტრაქტორები. ტრაქტორისტებიც არ არის ერთი 20 ტრაქტორია და რამოდენიმე ტრაქტორისტია რაც არ ყოფნის მოსახლეობას” - აცხადებს ერთ-ერთი ფერმერი.

ადგილობრივი მეფუტკრეობის განვითარების ერთ-ერთ პრობლემად მცირე და საშუალო ფერმერების მხრიდან ფერმერების დაბალი განათლება სახელდება. ამასთან, ამბროლაურში საინტერესო პრეცედენტია ამ მიმართულებით: ფერმერების ნაწილი ჩართულია კერძო სწავლების პროცესში და ასევე შექმნილია კოოპერატიული მეურნეობები. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით: ”ჩვენ მეფუტკრეობას ვასწავლით ონის, ამბროლაურის ცაგერის და ლენტეხის რაიონის ფერმერებს. ასევე ჩვენ, მეფუტკრეები მაგალითად გავერთიანდით, შევქმენით კოოპერატივი შესაბამისად ერთად ვახორციელებთ მეფუტკრეობის მიმართულებით საქმიანობას და ვთვლი რომ ასეთი რამ შესაძლებელია სხვებმაც გააკეთონ.” მეცხოველეობის და მემცენარეობის განვითარების ერთ-ერთ შემადგენელ ფაქტორად ფერმერები აგრონომებზე და ვეტერინარებზე დაბალ ხელმისაწვდომობას და მეცხოველეობაში არსებულ დაბალპროდუქტიულ ჯიშების ასახელებენ. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების განცხადებით აგრონომი საერთოდ არ არის მუნიციპალიტეტში.

ამასთან, ადგილობრივი მეღვინეობის განვითარების ერთ-ერთ პრობლემად მცირე და საშუალო ფერმერების მხრიდან ბაზარზე ფალსიფიცირებული ღვინის არსებობა სახელდება, რაც ართულებს ნატურალური ღვინის რეალიზაციას. ამასთან, ფოკუს ჯგუფის მონაწილე ფერმერები მიიჩნევენ, რომ რთულია სხვადასხვა ხელშეწყობი პროგრამების და პროექტების შესახებ რთულია ხშირად ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, შესაბამისად პერიოდულად სპეციალური საინფორმაციო კამპანია უნდა ჩატარდეს ამროლაურში, რათა მოსახლეობამ სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს სახელმწიფო/დონორების/საერთაშორისო

თუ სხვა ორგანიზაციების პროექტების შესახებ. ასევე, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები და ჩაღრმავებული ინტერვიუების რესპოდენტი ფერმერები აცხადებენ, რომ ადგილობრივი ფერმერები მცირე შემოსავლების ვერ ახერხებენ უმეტეს საგრანტო თუ საკრედიტო პროგრამებში, მონაწილეობას და შესაბამისად ერთ-ერთ ძირითად სუსტ მხარეს დაფინანსებაზე დაბალი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.

შესაძლებლობები

ადგილობრივი მევენახეობის, მესაქონლეობის და მეფუტკრეობის განვითარების ერთ-ერთ შესაძლებლობად სახელდება პროფესიული სწავლების ხელშეწყობა და ინფორმაციული უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. ერთ-ერთი ფოკუს ჯგუფის მონაწილე ფერმერის აზრით: "მე და სხვები არ უნდა დავდიოდეთ თბილისში წელიწადში ორჯერ, რათა მოვისმინო იმ სფეროში არსებული სიახლეების შესახებ. ისე არ შეიძლება, რადგან შესაძლებელია გამოვიდეს ისეთი პრეპარატი რომლის შესახებაც არ ვიცოდე არაფერი. აქედან გამომდინარე აუცილებელია გადამზადება და მეტი ინფორმაციის მოწოდება ჩვენთვის". ასევე ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით: "დაახლოებით სამი წლის წინ ვმუშაობდი მე ჩემი ახლობლის მაღაზიაში, რომელსაც შემოქონდა შხამ-ქიმიკატები. იმის გამო რომ სპეციალისტი ვერ ვნახეთ, იძულებული გავხდი წავსულიყავი თბილისში და მე თვითონ გამეგლო კურსები, წამოსვლისას ტრენერების ტელეფონის ნომრები ჩავიწერე, რათა თუ ვინმე მოვიდოდა რამის საყიდლად მათ ვასაუბრებდი, რომ რაიმე გართულებას არ ქონოდა ადგილი. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სწავლება, რომ განვავითაროთ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი".



ფოკუს ჯგუფის მონაწილე ფერმერები

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მრავალწლიანი ნარგავების და ხილის წარმოებას აქვს დიდი პოტენციალი. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის აზრით: "მაგალითად ჩვენთან არის უნიკალური ხარისხის ქლიავი, ყველას მოგეხენებათ ალბათ ამის შესახებ. უკვე დადიან 3 ლარად იბარებენ ადგილზე კილოგრამს. ნელნელა ამაზეც უნდა იფიქრონ ადამიანებმა და დაუბრუნდნენ მიტოვებულ მიწებს და მოიყვანონ თუნდაც ამ ჯიშის ქლიავი. არის გარეული ხე-ხილის დიდი რაოდენობა, კერძოდ გარეული ვაშლი, მსხალი". ამასთან ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ფერმერები სპეციალური საკანონმდებლო ნორმების შემოღებით ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას ხედავენ. კერძოდ, ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით უნდა მოხდეს საგადასახადო შეღავათების დაწესება მთიანი რეგიონების ფერმერებისათვის, რათა მათ მეტი ფინანსები დარჩეთ საქმიანობის გასაფართოვებლად.

ადგილობრივი მეცხოველეობის განვითარების მიზნით ფოკუს ჯგუფის მონაწილე მცირე და საშუალო ფერმერები არსებული ჯიშების განახლების საჭიროებას ხედავენ. ფოკუს ჯგუფის მონაწილე ერთ-ერთი ფერმერის აზრით: "ჩვენი საქონლის ჯიშები მოძველებულია და გვჭირდება მათი განახლება რათა ბაზარზე მოთხოვნა მეტი ხორციით და რძით

დავაკმაყოფილოთ”. ამასთან, ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპოდენტი ერთ-ერთი ფერმერის აზრით: **”მესაქონლეობის განვითარება მეღორეობის კუთხით უფრო ადვილია და საკალმახე მეურნეობების განვითარებას აქვს დიდი პოტენციალი”**. საკალმახე მეურნეობასთან ერთად ფერმერები ხშირად მეღორეობის დიდ განვითარების დიდ პოტენციალზე საუბრობენ. მცირე და საშუალო ფერმერების უმეტესობა თანხმდება, რომ სახელწიფომ ფულადი რესურსების მიწოდებასთან ერთად ფერმერებს **უნდა მიაწოდოს საკონსულტაციო მომსახურება**, რომელიც დაეხმარება მათ საგრანტო და სხვა სახის კონკურსებში წარსადგენი პროექტები მაღალი ხარისხით მოამზადონ. მცირე და საშუალო ფერმერების აზრით კონსულტაციების და სწავლების მომსახურების მიწოდება ფერმერებს შესაძლებლობას მისცემს განავითარონ საკუთარი მეურნეობა სესხებზე მეტი ხელმისაწვდომობით და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის გზით.

კოოპერატივების შექმნა და ბაზარზე გაერთიანებული რესურსებით ოპერირება მცირე და საშუალო ფერმერების აზრით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა მათი საქმიანობის გასაფართოვებლად და ისინი ამ პროცესში მაქსიმალურად ჩაერთვებიან. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით: **”კოოპერატივების შესახებ ხალხი ვიკრიბებოდით და დარბაზი სავსე იყო, მაგრამ მერე ნელ-ნელა კლებულობდა ხალხის რაოდენობა. მაგრამ ჩვენ გავეცანით ინფორმაციას თუ როგორ ხდებოდა კოოპერატივების მუშაობა, დავჯექით დაფიქრდით, შემდგომში მოვძებნეთ თანამოაზრეები და გავაკეთეთ კოოპერატივი და მოვამზადეთ საგრანტო განაცხადი”**.

ასევე დაფინანსების შესაძლებლობის გაზრდასთან ერთად ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ხელიფუფლების და ფერმერების თანამშრომლობის აუცილებლობაზე საუბრობენ და მაგალითად მოჰყავთ **ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოუწყვრეგებლობა (ძირითადად გზების)**. რესპოდენტების აზრით თუ არ მოწყვრეგდა ინფრასტრუქტურა მათვის ძნელი იქნება პროდუქტების რეალიზაცია. ასევე ფერმერების აზრით **ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა გაზრდის მათი ინფორმირებულობის დონეს სხვადასხვა სიახლეების შესახებ** და აუცილებელია ამ მიმართულებით ღონისძიებების გატარება. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის აზრით: **”სად აქვს მთის ხალხს 60 ლარი რომ ინტერნეტი ჩართოს, ამიტომ კარგი იქნება თუ რაიმე შეღავათი იქნება, რათა ჩვენც გვქონდეს შესაძლებლობა იმისა რომ რაღაცეები გავიგოთ და განვავითაროთ ჩვენი საქმე”**.

ამასთან, ადგილობრივების აზრით **უნდა დაჩქარდეს და გამარტივდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის დაკანონების პროცესი**, რაც ხელს შეუწოებს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარებას. ფერმერების აზრით მათ უჭირთ საკანომდებლო პროცედურების გავლა და ხშირად მიწების საკუთრება არის სადავო. განსაკუთრებით ეს პროცესი პრობლემატურია სამოვრების დასაკუთრების პროცესში. ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპოდენტის, მევენახეობით დაკავებული ფერმერის განცხადებით: **”ადგილზე ახლა უკვე ნაკლებად შეიძლება გაფართოება. ხალხს აქვს მამაპაპისეული მიწები, რომლებიც გაუფორმებელი აქვთ. გაუფორმებელ მიწას კიდევ ვერ იყიდი. აუცილებელია ეს პრობლემა მალე გადაწყდეს”**.

საფრთხეები

ადგილობრივი სოფლის მეურნეობისთვის მომავალ **საფრთხედ სახელდება მოსახლეობის მიგრაცია**, რაც გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის სექტორში ცოდნის გადინებაზე.

ფოკუს ჯგუფის მონაწილე ერთ-ერთი ფერმერის აზრით: "1-2 მანქანას თუ დაინახავთ ეხლა ამობროლაურში, მაგრამ აგვისტოში რეკორდული რაოდენობა იყო ჩამომსვლელების, სადღაც 140000 ადამიანი. სულ უფრო მეტი ადამიანი ტოვებს რაიონს და მიდის დიდ ქალაქებში". ფოკუს ჯგუფის მონაწილეები განსაკუთრებით ახალგაზრდების გადინებას მიიჩნევენ საფრთხედ, რაც ყოველწლიურად კიდევ უფრო მეტად ართულებს ადგილობრივი ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

საშუალო ფერმერებისთვის ერთ-ერთ საფრთხეს **საექსპორტო ბაზრების არასტაბილურობა სახელდება**. ერთ-ერთი ფერმერის განცხადებით: "ჩვენი ყურძნით მომზადებული ღვინო ადრე რუსეთში იყიდებოდა. ეხლა თითქოს ცოტა გადის რუსეთში, მაგრამ მაინც მცირე რაოდენობით და დიდი რისკია რომ ისევ დაიხუროს. შემდეგ უკრაინაში გადიოდა ჩვენი პროდუქცია და ეხლა იქაც არასტაბილურობიდან გამომდინარე გვიწევს ვეძებოთ ახალი ბაზრები. ეს ცვალებადობა ძალიან აზიანებს ადგილობრივ მეღვინეობას".

მცირე და საშუალო ფერმერების აზრით, ასევე მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს შხამ-ქიმიკატების გამოყენების შედეგად გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს გარემოს და ართულებს მომავალში ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას. ფოკუს ჯგუფის მონაწილე ერთ-ერთი ფერმერის აზრით: "ჩვენი რაიონი გამოირჩევა იმ გარემო პირობებით რომელიც გაგვაჩნია და რათქმაუნდა ამას შენარჩუნება სჭირდება. არსებობს დიდი საფრთხე, რომ გარემო დაბინძურდეს და მაშინ ჩვენ დავკარგავთ სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან ძიერ მხარეს".

ერთ-ერთ საფრთხეთ მცირე და საშუალო ფერმერები ეპიდემიურ დაავადებებს მიიჩნევენ, რომელიც მნიშვნელოვნად აზიანებს მათ საქონელს. ფერმერების აზრით **ვეტერინარულ მომსახურებაზე დაბალი ხელმისაწვდომობაა**, რადგან მხოლოდ კერძო ვეტერინარის ინსტიტუტი მოქმედებს და კერძო ვეტერინარები ხშირად ვერ იცლიან ყველა კლიენტისთვის. შესაბამისად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ფერმერებს საქონელი ელუპებად რადგან დროულად ვერ მოახდინეს მათი სათანადო მოვლა ვეტერინარის დახმარებით. ამასთან, ჩაღრმავებული ინტერვიუს ერთ-ერთი რესპოდენტის აზრით: "ამბროლაურში ძალიან კარგი პირობებია მეღორეობის, მესაქონლეობისთვის და ბევრი ფერმერი ამ სფეროშია დასაქმებული. მაგრამ ჩვენ გვიჭირს ცხოველის ხშირ დაავადებებთან გამკლავება. ზოგს არ აქვს ფული ვეტმომსახურებისთვის, მაგრამ ყველაზე ხშირად ვეტერინარებს არ სცალიათ ჩვენთვის. დიდი საფრთხეა როდესაც მუდმივად იმის შიშში ხარ რომ საქონელი დაგელუდება".

საფრთხეებად მცირე და საშუალო ფერმერების მხირად ასევე ბუნებრივი მოვლენები სახელდება როგორებიცაა: ძლიერი წვიმა, სეტყვა და წყალდიდობა. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი ფერმერის განცხადებით: "წელს ჩემი მეზობლისგან ვიცი ლობიო დათესეს, იყო გვალვა, გახმა ლობიო და ვერ მიიგო შესაბამისად მოსავალი. ეს ძალიან ხშირი პრობლემაა".

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის აგრობიზნესის საჭიროებები - SWOT ანალიზი


მცირე და საშუალო ზომის ფერმერების მოსაზრებები ხარგაულის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის SWOT-ანალიზის მიზნებისთვის მეტ-ნაკლებად მსგავსია და შესაბამისად წარმოდგენილია გაერთიანებული სახით:

ძლიერი მხარეები (Strengths)	სუსტი მხარეები (Weakness)
-----------------------------	---------------------------

• ხელსაყრელი რელიეფი და კლიმატური პირობები მეცხოველეობის, მეფუტკრეობის და მეღვინეობის განვითარებისთვის; • მეტ-ნაკლებად ნყოფიერი ნიადაგები; • საირიგაციო წყლის რესურსების არსებობა; • სამოვრების დიდი რაოდენობა; • ღვინის ენდემური ჯიშების არსებობა; • სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ტრადიცია და სფეროში არსებული ცოდნა;	• მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობა; • ინფორმაციის ნაკლებობა სხვადასხვა პროგრამებზე (აგრო სესხები, საგრანტო კონკურსები); • სამუშაო ძალის ნაკლებობა; • მცირე ფერმერების დაბალი ცოდნა თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ; • მცირე ფერმერების დაბალი ცოდნა ბიზნესპროექტების შემუშავების მიმართულებით; • მეცხოველეობაში არსებული დაბალპროდუქტიული ჯიშები; • მცირე ფერმერებზე გათვლილი ბიზნესსესხების და ბიზნესგრანტების პროგრამების სიმცირე; • საირიგაციო სისტემის გაუმართაობა; • ხარისხიან შხამ-ქიმიკატებზე და სასუქებზე დაბალი ხელმისაწვდომობა; • ბაზარზე ფალსიფიცირებული პროდუქციის (ძირითადად ღვინის) არსებობა; • დაბალკვალიფიციური ადამიანური რესურსი; • კვალიფიციური ვეტერინარისა და აგრონომის მომსახურებაზე დაბალი ხელმისაწვდომობა; • სახნავ-სათესი მიწების სიმცირე; • დაუკანონებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;
შესაძლებლობები (Opportunities)	საფრთხეები (Threats)
• სასოფლო-სამეურნეო სექტორში ფერმერებისათვის სპეციალური სასწავლო კურსების მიწოდება; • მეთევზეობის (საკალმახეობის მოწყობა) და მეფრინველეობის მეურნეობების განვითარება; • სამუშაო ძალის შენარჩუნება და მოზიდვა; • კვალიფიციურ აგრონომებზე და ვეტერინარებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; • ცხოველთა დაავადებების კონტროლი; • ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ბიზნესპროექტების შემუშავების მიმართულებით; • მცირე ფერმერებზე გათვლილი ბიზნესსესხების და ბიზნესგრანტების პროგრამების განხორციელება; • საქონლის ჯიშების გაუმჯობესება; • ფალსიფიცირებული პროდუქციის (ღვინის) წინააღმდეგ ბრძოლა; • საირიგაციო სისტემის მოწყობა; • სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ	• მიგრაცია და ცოდნის გადინება; • ბუნებრივი საფრთხეები (ძლიერი წვიმა, ყინვა, სეტყვა და ა.შ.); • გარემოს დაბინძურება; • აპიდემიური დაავადებები (ძირითადად ღორის და საქონლის); • საექსპორტო ბაზრების არასტაბილურობა;

პროგრამებზე და პროექტებზე ხშირი საინფორმაციო კამპანიის ჩატარება; • კოოპერატივების შექმნა მცირე და საშუალო ფერმერების ჩართულობით; • სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება, ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და წარმოების ახალი ტექნოლოგიების დანერგვა; • ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; • სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაკანონების პროცესის გააქტიურება; • ბუნებრივი საფრთხეების ზიანის შემცირება;	
---	--

ამასთან ფოკუს ჯგუფის მონაწილე მცირე და საშუალო ფერმერები მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით ძირითად პრიორიტეტულ საჭიროებებს შემდეგი სახით ანაწილებენ:



გრაფიკზე ასახული საჭიროებები:

- (1) შინაური ცხოველების დაავადებებთან ბრძოლა - ადგილობრივ ფერმერებს უჭირთ შინაური ცხოველების დაავადებების პრევენცია და მათი ზიანის შემცირება;
- (2) გრძელვადიანი აგროკრედიტები - დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე და გრძელვადიანი აგროკრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- (3) განათლება - იგულისხმება ფერმერთა კვალიფიკაციის და მათი განათლების დონის ამაღლება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების

მიზნით. ასევე იგულისხმება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

- (3) კანონმდებლობა - იგულისხმება ტყითსარგებლობის კანონმდებლობის შეცვლა. მცირე და საშუალო ფერმერებისთვის რთულია ხე-ტყის მოპოვებაზე ნებართვის მიღება. მიუხედავად იმისა, რომ ხე-ტყის მოპოვება არ შედის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, ფერმერების მხრიდან ეს საკითხი ხშირად დასახელდა პრობლემატურად, რადგან ადგილობრივი ფერმერების დიდი ნაწილი ასევე ჩართულია ხე-ტყის მოპოვების და ხის პროდუქციის დამზადების საქმიანობაში;
- (4) ტექნიკა - მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- (5) ინფრასტრუქტურის მოწესრიგება - ადგილობრივი ფერმერებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

5. დასკვნები და რეკომენდაციები

სოფლის მეურნეობა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში წამყვანი ეკონომიკური საქმიანობაა. მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობას ტრადიციული მეთოდებით უძღვებიან. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან ადმინისტრაციულ ერთეულში პრიორიტეტულია: ვაზი, სიმინდი, ლობიო და ხორბალი. მემცენარეობის დარგის მნიშვნელოვანი გამოწვევებია მეურნეობის არაეფექტური წარმართვა და არასრულყოფილი/არასაკმარისი საირიგაციო სისტემა.

მუნიციპალიტეტში არსებული პირობები უფრო მეტად მეცხოველეობის განვითარებისთვისაა ხელსაყრელი. მესაქონლეებს პრობლემები ექმნებათ სოფლებში ვეტერინარულ მომსახურებაზე დაბალი ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო. ასევე, ადგილობრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია პროდუქტიული ჯიშების დანერგვა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი საჭიროებები:

- *მცირე ფერმერებზე გათვლილი ბიზნესსესხების და ბიზნესგრანტების პროგრამების განხორციელება* - ადგილობრივი მცირე ფერმერებისთვის თითქმის არ არსებობს შეღავათიან აგროსესხებზე ხელმისაწვდომობა. მათ უჭირთ ისეთ პროგრამებში მონაწილეობა, სადაც შეღავათიანი სესხის მისაღებად კანდიდატს თანადაფინანსება ან მნიშვნელოვანი ქონებრივი უზრუნველყოფა სჭირდება. შესაბამისად იმ პირობებში როდესაც მსხვილი ფერმერებისათვის შეღავათიანი სესხის მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია, მცირე ფერმერებს ურთულდებათ ასევე მსხვილ ფერმერებთან კონკურენცია.
- *მეთევზეობის, მეღორეობის და მეფრინველეობის კენკროვანის მეურნეობების განვითარება* - ადგილობრივი ფერმერების აზრით მეტი ინვესტიცია საჭირო მუნიციპალიტეტში მეთევზეობის, მეღორეობის და მეფრინველეობის მეურნეობების

განვითარების მიზნით. ფერმერების აზრით ამ მიმართულების განვითარების პოტენციალი ამბროლაურში დიდია.

- *სოფლად კვალიფიციურ აგრონომებზე და განსაკუთრებით ვეტერინარებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა* - ადგილობრივ ფერმერებს საკმარისად არ მიუწვდებათ ხელი კვალიფიციურ აგრონომებზე და ვეტერინარებზე. აგრო/ვეტ მომსახურება მუნიციპალიტეტში მხოლოდ რამოდენიმე კერძო პირს შეუძლია, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი რესურსი მაღალი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. შედეგად ფერმერებს პრობლემები ექმნებათ პროდუქციის წარმოების და მათი შენახვის პროცესში (მაგ. ხშირია პირუტყვის დაავადებები). კვალიფიციურ ვეტერინარულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა უზრუნველყოფს მსხვილფეხა საქონლის გამრავლებას, ხორცპროდუქტიულობისა და წველადობის გაზრდას.
- *სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაკანონების პროცესის გააქტიურება* - ადგილობრივი ფერმერებისთვის პრობლემას წარმოადგენს მიწების დასაკუთრების პროცესი. ფერმერების აზრით ხშირად რთულია მათი წინაპრების მიწების დაკანონება არასაკმარისი დოკუმენტაციის გამო. ასევე მიწების დაკანონების პროცესში ხშირია დავები ფერმერებს შორის. მიწების დაკანონება საშუალო ფერმერების აზრით ხელს შეუწყობდა მათი საქმიანობის გაფართოვების პროცესს.
- *ამბროლაურის მუნიციპალიტეტში პირუტყვის მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყენება* - ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფლის-მეურნეობის ძირითადი მიმართულებაა მეცხოველეობა. ამასთან, მუნიციპალიტეტში არსებული პირუტყვი ძირითადად დაბალპროდუქტიულია და შესაბამისად საჭიროა მათი ჩანაცვლება შედარებით მაღალი პროდუქტიულობის ჯიშებით.
- *ცხოველთა დაავადებების კონტროლი* - ადგილობრივი მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს ცხოველთა დაავადებების სიხშირე წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში გატარდეს დაავადებების პრევენციის და კონტროლის ღონისძიებები.
- *ფალსიფიცირებული პროდუქციის წინააღმდეგ ბრძოლა* - ადგილობრივ ფერმერებს, განსაკუთრებით მეღვინეებს უჭირთ პროდუქციის რეალიზაცია, რადგან სარეალიზაციო ბაზრებზე ხშირად ფალსიფიცირებული პროდუქტია წარმოდგენილი.
- *დამატებითი სამუშაო ძალის მოზიდვა* - ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საშუალო ფერმერებს უჭირთ კვალიფიციური სამუშაო ძალის მოძიება. შესაბამისად, მათ სჭირდებათ სამუშაო მაძიებელთა ბაზის შექმნა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამბროლაურში სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებით, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ძალის მოზიდვას.
- *საირიგაციო სისტემის მოწყობა/გამართვა* - გახშირებული გვალვის გამო სახნავი მიწების დაახლოებით 30-40% საჭიროებს რწყვას. მუნიციპალიტეტში საირიგაციო

სისტემა მხოლოდ მცირე ნაწილზეა მოწყობილი. შესაბამისად უნდა მოხდეს საირიგაციო სისტემების მოწყობა და გამართვა.

- *სასოფლო-სამეურნეო სექტორში ფერმერებისათვის სპეციალური სასწავლო კურსების მიწოდება* - ფერმერებს ხშირად არ ყოფნით კვალიფიკაცია და ცოდნა თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ. ასევე ფერმერებს უჭირთ წარმოებისათვის ხარისხიანი სასუქების და შხამ-ქიმიკატების შეძენა, რადგან არ აქვთ საკმარისი ცოდნა ამ საწარმოო საშუალებების შესახებ. დამატებით, ფერმერები საჭიროებენ თანამედროვე ცოდნის შეძენას განსაკუთრებით მესაქონლეობის და მეფუტკრეობის მიმართულებებით.
- *ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების მიწოდება ბიზნესპროექტების შემუშავების მიმართულებით* - ადგილობრივ ფერმერებს უჭირთ ბიზნესპროექტების მომზადება სხვადასხვა სახელმწიფო, დონორების/საერთაშორისო თუ სხვა ორგანიზაციების კონკურსებისთვის. შესაბამისად ფერმერებს სჭირდებათ კვალიფიციურ ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. ბიზნესსაკონსულტაციების მეშვეობით ფერმერები არა მხოლოდ სრულყოფილ ბიზნესპროექტებს შეიმუშავენ, არამედ აღნიშნული მომსახურება მათ საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდაში დაეხმარება.
- *სოფლის მეურნეობის მხარდაჭერ პროგრამებზე და პროექტებზე ხშირი საინფორმაციო კამპანიის ჩატარება* - ადგილობრივი ფერმერებისათვის რთულია სხვადასხვა ხელშემწყობი პროგრამების და პროექტების შესახებ რთულია ხშირად ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, შესაბამისად პერიოდულად სპეციალური საინფორმაციო კამპანია უნდა ჩატარდეს ამბროლაურის, რათა მოსახლეობამ სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს სახელმწიფო/დონორების/საერთაშორისო თუ სხვა ორგანიზაციების პროექტების შესახებ.
- *კოოპერატივების შექმნა მცირე და საშუალო ფერმერების ჩართულობით* - კოოპერატივების შექმნა და ბაზარზე გაერთიანებული რესურსებით ოპერირება მცირე და საშუალო ფერმერების აზრით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა მათი საქმიანობის გასაფართოვებლად. შესაბამისად მნიშვნელოვანია ფერმერების მხარდაჭერა ამ მიმართულებით როგორც ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების მიერ, ასევე დონორი/საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.
- *სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება, ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და წარმოების ახალი ტექნოლოგიების დანერგვა* - მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობა. ამ მიმართულებით მცირე და საშუალო ფერმერების აქტიურად სარგებლობენ სახელმწიფო უფასო ხვნა-თესვის პროგრამით, მაგრამ მათი აზრით ტექნიკა არის მოძველებული და ხშირ შემთხვევაში ამბროლაურის პირობებთან შეუსაბამო. ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ტექნიკის რაოდენობა იყოს შესაბამისი და მათი ხელმისაწვდომობა აგროვადების

შესაბამისად განისაზღვროს. გარდა ამისა ადგილობრივ ფერმერებს სხვადასხვა კულტურების წარმოებისათვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ესაჭიროებად.

- *ბუნებრივი საფრთხეების ზიანის შემცირება* - ადგილობრივ სოფლის მეურნეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს გახშირებული სტიქიური მოვლენები, როგორებიცაა ძლიერი წვიმა, სეტყვა, მეწყერი და წყალდიდობა. შესაბამისად საჭიროა სტიქიური მოვლენების ზიანის შემცირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რაც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო აქტივების შენარჩუნებას.
- *სათიბ-სადოვრების ეროზიის პრევენცია* - რისთვისაც რამდენიმე მეთოდის გამოყენება შეიძლება. უპირველეს ყოვლისა სასურველია დადგინდეს და შეძლებისდაგვარად დაცული იქნას პირუტყვის ძოვების ნორმები კონკრეტული საძოვრებისთვის. ამას გარდა, სასურველია დაინერგოს მონაცვლეობითი ძოვება, დადგინდეს და საჭიროების შემთხვევაში შეიზღუდოს შემოყვანილი პირუტყვის სულადობა, მეცხოველეები გადავიდნენ ნაწილობრივ ბაგურ კვებაზე (რაც მათ წველადობაზეც აისახება).
- *ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა* - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ფერმერებისთვის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ პრობლემატურად საკითხად რჩება. ინტერნეტი ტექნიკურად ვერ მიეწოდება უმეტეს სოფელს, ასევე ფერმერებს არ აქვთ საკმარისი თანხები მომსახურების საფასურის გადასახდელად. ფერმერების აზრით ინტერნეტზე წვდომა მათ საშუალებას მისცემს სფეროში არსებული სხვადასხვა სიახლეების შესახებ ინფორმაცია ადვილად მოიპოვონ, რაც დაეხმარება მათ მეურნეობების განვითარებაში.
- *ქარსაცავი ზოლების აღდგენა*⁷ - რაც შეამცირებს ნიადაგის ეროზიის პოტენციალს და ხელს შეუწყობს ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირებას მაღალი სიციხეებისას.

დანართი 1 - სახელმძღვანელო ჩაღრმავებული ინტერვიუსათვის და ფოკუს ჯგუფებისათვის

I. მთავარი ამოცანა: შეფასდეს მონაწილეთა წარმოდგენა მათი საქმიანობების ძლიერი მხარეების შესახებ;

1. თქვენი აზრით, რა არის და რაში გამოიხატება თქვენი საქმიანობის ძლიერი მხარეები?
2. თქვენი აზრით რატომ არსებობს ეს ძლიერი მხარეები? რა ფაქტორების იწვევს მათ არსებობას?
3. თქვენი დაკვირვებით რა ფაქტორები უწყობს ხელს (შეიძლება შეუწყოს) თქვენი ძლიერი მხარეების შენარჩუნებას/გავითარებას და რა ფაქტორები ხდენს თქვენს ძლიერ მხარეებზე უარყოფით გავლენას?

⁷ ისტორიულად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობდა ქარსაცავი ზოლები, რომლის რაოდენობა 1990-იანი წლების შემდგომ მნიშვნელოვნად შემცირდა

- II. მთავარი ამოცანა: შეფასდეს მონაწილეთა წარმოდგენა მათი საქმიანობების სუსტ მხარეებზე**
1. თქვენი აზრით, რა არის და რაში გამოიხატება თქვენი საქმიანობის სუსტი მხარეები?
 2. თქვენი აზრით რატომ არსებობს ეს სუსტი მხარეები? რა ფაქტორების იწვევს მათ არსებობას?
 3. თქვენი დაკვირვებით რა ფაქტორები უწყობს ხელს (შეიძლება შუწყოს) თქვენი ძლიერი მხარეების აღმოფხვრას და რა ფაქტორები კიდევ უფრო მეტად აურესებს თქვენი საქმიანობის სუსტ მხარეებს?
- III. მთავარი ამოცანა: შეფასდეს მონაწილეთა წარმოდგენა მათი საქმიანობების შესაძლებლობებზე**
1. თქვენი აზრით, რა არის ის შესაძლებლობები, რომელებიც თქვენს დაგეხმარებოდათ თქვენი საქმიანობის განვითარებაში/გაფართოვებაში?
 2. თქვენი აზრით რატომ არსებობს ეს შესაძლებლობები? რა ფაქტორების იწვევს მათ არსებობას?
 3. თქვენი აზრით რა არის საჭირო არსებული შესაძლებლობების გამოსაყენებლად?
 4. თქვენი აზრით ვინ უნდა იზრუნოს ამ შესაძლებლობების გამოყენებაზე?
- IV. მთავარი ამოცანა: შეფასდეს მონაწილეთა წარმოდგენა მათი საქმიანობების შესაძლებლობებზე**
1. თქვენი აზრით, რა არის ის საფრთხეები, რომელებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს თქვენს საქმიანობას მომავალში?
 2. თქვენი აზრით რატომ არსებობს ეს საფრთხეები? რა ფაქტორების იწვევს მათ არსებობას?
 3. თქვენი აზრით ვინ და როგორ უნდა იზრუნოს ამ საფრთხეების განეიტრალებაზე/მათი გავლენის შემცირებაზე?
1. ზოგადად რა საჭიროებებს ხედავთ თქვენი სფეროს განვითარებისათვის?